

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის
სათათბიროს სხდომის

ო კ მ ი № 49

03.11.2015

სათათბიროს 12 წევრიდან ესწრებოდა 12

დღის წესრიგი :

მიმდინარე საკითხები.

მოისმინეს: მენეჯერი გ. მჭედლიშვილი. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტში მე-10 კორპუსში ლიფტის სარემონტოდ გამოყოფილი 11 000 ლარი არ არის საკმარისი ტენდერის გამოცხადებისთვის და ეს თანხა შესაძლებელია ჩამოგვეჭრას, ამიტომ ფაკულტეტის ბიუჯეტის რაციონალური გამოყენების მიზნით, საჭიროა ბიუჯეტში განხორციელდეს მუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ "საოფისე ტექნიკის ინვენტარის, მანქანა-დანადგარების შენახვა-ექსპლუატაციის ხარჯებიდან (კოდი 2.2.03.09) 7430 ლარი გადატანილი იქნას პრემიაში (კოდი 2.1.1.3), ხოლო 3600 ლარი "სოციალურ უზრუნველყოფის" მუხლში (კოდი 2.7).

აზრი გამოთქვეს პროფესორები ზ. კოვზირიძე, მ. ხუციშვილი, მ. მაისურაძე. მათ მხარი დაუჭირეს ბიუჯეტის მუხლებში ცვლილებების შეტანას.

დაადგინეს: 1. ფაკულტეტის 2015 წლის ბიუჯეტში განხორციელდეს მუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ "საოფისე ტექნიკის ინვენტარის, მანქანა-დანადგარების შენახვა-ექსპლუატაციის ხარჯებიდან (კოდი 2.2.03.09) 7430ლარი გადატანილი იქნას პრემიაში (კოდი 2.1.1.3), ხოლო 3600 ლარი "სოციალურ უზრუნველყოფის" მუხლში(კოდი 2.7).

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

მოისმინეს: პროფ. თ. ცინცაძე. მან აღნიშნა, რომ ფარმაციის დეპარტამენტში ასოც. პროფესორად მოწვეულია დ. ლულუნიშვილი (200 სთ), რომელიც ფაქტიურად ასრულებს აკადემიურ დატვირთვას 400 სთ-ის ოდენობით და მოითხოვა იგი ნაცვლად 200 სთ-იანი აკადემიური დატვირთვისა მოწვეული იქნას ასოცირებულ პროფესორად 400 სთ. აკადემიური დატვირთვით.

აზრი გამოთქვეს პროფესორები: ნ. კუციავა, მ. მშვილდაძე. მათ მხარი დაუჭირეს ფარმაციის დეპარტამენტში ასოცირებულ პროფესორად დ. ლულუნიშვილის მოწვევას 400 სთ. აკადემიური დატვირთვით.

დაადგინეს: დ. ლულუნიშვილი ნაცვლად 200 საათისა, მოწვეულ იქნას ფარმაციის დეპარტამენტში ასოცირებულ პროფესორად აკადემიური დატვირთვით 400 სთ.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

მოისმინეს: პროფ. ნ. წერეთელი. მან სათათბიროს წევრებს გააცნო სტუ-ს რექტორისა და აკადემიური საბჭოს სწავლული მდივნის მიერ ვიზირებული მე-3 წლის სწავლების სტუდენტის თეონა თოდუას განცხადება, რომლითაც იგი მძიმე ოჯახური პირობების გათვალისწინებით ითხოვს სწავლების საფასურის გადახდისაგან განთავისუფლებას.

აზრი გამოთქვეს მენეჯერი გ. მჭედლიშვილი, პროფესორები: ნ. კუციავა, ზ. კოვზირიძე,

მ. მაისურაძე. მათ წამოაყენეს წინადადება დაევალოს მენეჯერს შეუდგინოს თ. თოდუას სწავლის საფასურის გადახდის ინდივიდუალური გრაფიკი, რათა მას მაქსიმალურად შეეწყოს ხელი სწავლის პროცესის სრულყოფაში.

დაადგინეს: დაევალოს მენეჯერს შეუდგინოს თ. თოდუას სწავლის საფასურის გადახდის ინდივიდუალური გრაფიკი, რათა მას მაქსიმალურად შეეწყოს ხელი სწავლის პროცესის სრულყოფაში.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

მოისმინეს პროფ. ნ. წერეთელი. მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ღვაწლმოსილ პროფესორებს შეუსრულდათ საიუბილეო თარიღი, კერძოდ 80 წელი შეუსრულდათ პროფესორებს: თ. გაბადაძეს, ლ. გვასალიას, ა. სარუხანიშვილს, ხოლო 75 წელი პროფ. თ. აგლაძეს. აღნიშნულთან დაკავშირებით წამოაყენა წინადადება ფაკულტეტის ეს ღვაწლმოსილი პროფესორები დაჯილდოვდნენ სტუ-ს საპატიო დიპლომით და წახალისდნენ ერთი თვის ხელფასით.

ამასთან წამოაყენა წინადადება პროფ. ნ. ნიჟარაძესაც, რომელსაც მიმდინარე წელს შეუსრულდა საიუბილეო თარიღი და დაჯილდოვდა სტუ-ს საპატიო დიპლომით, მასაც წახალისების მიზნით, მიეცეს ერთი თვის ხელფასი.

აზრი გამოთქვეს პროფესორებმა: ნ. კუციავა, ზ. კოვზირიძე, მ. მაისურაძე, ზ.ლომსაძე. მათ მხარი დაუჭირეს წამოყენებულ წინადადებას.

დაადგინეს. ეთხოვოს აკადემიურ საბჭოს:

1. ღვაწლმოსილი პროფესორები თ. გაბადაძე, ლ. გვასალია, ა. სარუხანიშვილი, თ. აგლაძე. დაჯილდოვდნენ სტუ-ს საპატიო დიპლომით და წახალისდნენ ერთი თვის ხელფასით.

2. პროფ. ნ. ნიჟარაძეს, რომელსაც მიმდინარე წელს შეუსრულდა საიუბილეო თარიღი და დაჯილდოვდა სტუ-ს საპატიო დიპლომით, წახალისების მიზნით მასაც, მიეცეს ერთი თვის ხელფასი.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

მოისმინეს: პროფ. ნ. წერეთელი: მან სათათბიროს წევრებს გააცნო ფაკულტეტის თანამშრომლების ი. აბდუშელიშვილის, გ. შაქარაშვილის, ბ. კუმელაშვილის, ჯ. ჟუჟუნაშვილისა და მ. თორიას განცხადებები, რომლებიც მძიმე ეკონომიური

პირობებიდან და ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, თხოულობენ შეძლებისდაგვარად ფინანსურ დახმარებას.

აზრი გამოთქვეს პროფესორები: ნ. კუციავა, ზ. ლომსაძე, დ. ნოზაძე, მენეჯერი გ. მჭედლიშვილი. მათ მხარი დაუჭირეს აღნიშნული თანამშრომლებისთვის ფინანსური დახმარების გაწევას.

დადგინეს: ფაკულტეტის ბიუჯეტის შესაბამისი მუხლიდან მოხდეს ფინანსური დახმარების გაწევა შემდეგი ოდენობით:

- | | |
|---------------------|-----------|
| 1. ი. აბდუშელიშვილი | 250 ლარი; |
| 2. გ. შაქარაშვილი | 250 ლარი; |
| 3. ბ. კუმელაშვილი | 150 ლარი; |
| 4. ჯ. ჟუჟუნაშვილი | 125 ლარი; |
| 5. მ. თორია | 200 ლარი. |

დადგენილება მიღებულია ერთხმად

მოისმინეს: პროფ. მ. მშვილდაძე. მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტზე სწავლობს სტუდენტთა გარკვეული ნაწილი, რომლებსაც აქვთ დიდი ფინანსური დავალიანება და აკადემიურადაც არიან ჩამორჩენილები, რითაც ირღვევა სტუდენტებთან გაფორმებული ფინანსური ხელშეკრულების პირობა. წამოაყენა წინადადება რომ სტუდენტთა იმ კატეგორიას რომელთაც აქვთ ფინანსური დავალიანება 2250 ლარი და მეტი და ამავდროულად არიან აკადემიურად ჩამორჩენილები, ჯერ დაიბლოკონ ელექტრონულ უწყისში და გადაუხდელობის შემთხვევაში კი შეუჩერდეთ სტუდენტის სტატუსი.

აზრი გამოთქვეს პროფესორებმა: თ. ცინცაძე, ზ. ლომსაძე, მ. მაიუსრაძე, ნ. კუციავა, ზ. კოვიზირიძე, ლ. გვასალია. მათ მხარი დაუჭირეს აღნიშნულ წინადადებას.

დაადგინეს: დაევალოს მენეჯერს , სტუდენტთა იმ კატეგორიას რომელთაც აქვთ ფინანსური დავალიანება 2250 ლარი და მეტი და ამავდროულად არიან აკადემიურად ჩამორჩენილები, დაიბლოკონ ელექტრონულ უწყისში და გადაუხდელობის შემთხვევაში შეუჩერდეთ სტუდენტის სტატუსი.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

მოისმინეს: პროფ. ზ. კოვიზირიძე. მან აღნიშნა, რომ რექტორის მოსაზრებით, ჩვენი ფაკულტეტისთვის ხელსაყრელია ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტთან თანამშრომლობა, თუკი მათ მიეცემათ საშუალება სასწავლო პროცესი წარმართონ მე-10 სასწავლო კორპუსშიც, რის სანაცვლოდაც მათი მხრიდან, შესაძლებელია მიღწეული იქნას შეთანხმება აღნიშნული კორპუსის კეთილმოწყობის მიზნით.

აზრი გამოთქვეს პროფ. ნ. წერეთელი. მან წამოაყენა წინადადება ფაკულტეტისათვის ხელსაყრელი პირობების ჩამოყალიბებისა და ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტისთვის მისი შეთავაზების მიზნით, შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით: პროფესორები ზ. ლომსაძე, დ. ნოზაძე, მ. ხუციშვილი.

დაადგინეს: ფაკულტეტისათვის ხელსაყრელი პირობების ჩამოყალიბებისა და ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტისთვის მისი შეთავაზების მიზნით, შეიქმნას

კომისია შემდეგი შემადგენლობით: პროფესორები ზ. ლომსაძე, დ. ნოზაძე, მ. ხუციშვილი.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

მოისმინეს პროფ. ნ. წერეთელი. მან წევრებს შეახსენა 2015 წლის 24 ივნისს ჩატარებული სათათბიროს სხდომა, რომელმაც განიხილა 4135 ჯგ-ის სტუდენტ (ლაბორანტი 0.5 ს/ე) ნ. ნავროზაშვილის განცხადება მთავარი სპეციალისტის გ. გაბადაძის მხრიდან მუქარის თაობაზე. სათათბიროს მაშინდელი დადგენილებით აღნიშნული განცხადება დროული გამოკვლევისა და რეაგირების მიზნით, გადაეცა უნივერსიტეტის მონიტორინგის დეპარტამენტს, რომელიც იხილავდა სტუდენტების 2015 წლის 05 მაისის განცხადებას ფაკულტეტის საბჭოს სხდომასთან დაკავშირებით. ნ. წერეთლის განმარტებით, ნ. ნავროზაშვილი დაინტერესდა თუ რა რეაგირება მოყვა მის განცხადებას. მან სათათბიროს წევრებს თხოვა თავიანთი აზრი გამოეთქვათ აღნიშნულთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს პროფ. ზ. ლომსაძე. მან აღნიშნა, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით, აუცილებელია მივმართოთ სტუ-ს მონიტორინგის დეპარტამენტს და ოფიციალურად მოვითხოვოთ მათი დასკვნა ნ. ნავროზაშვილის განცხადებასთან დაკავშირებით, მითუმეტეს რომ აღნიშნული ფაქტიდან ოთხ თვეზე მეტი დროა გასული. ამ პროცედურის გავლის შემდეგ თუ საჭირო გახდება განცხადებაგანსახილველად შეიძლება გადაეცეს ფაკულტეტის ეთიკის კომისიას.

დაადგინეს: ეთხოვოს სტუ-ს მონიტორინგის დეპარტამენტს წარმოადგინოს დასკვნა ნ. ნავროზაშვილის განცხადებასთან დაკავშირებით.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

სათათბიროს თავმჯდომარე, პროფ.

ნ. წერეთელი

მდივანი, პროფ.

მ. მშვილდაძე